განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმარტველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისათვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 33 029.5 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (30 387.4 ათ.ლარი) შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2 642,1 ათასი ლარით , **რაც 8,7 %-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.**

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 25 129.5 ათასი ლარით;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (22 737.4 ათ.ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 10,52%-ით (2 392.1 ათ. ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7 900.0 ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (7 650.0 ათ.ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 3,26 %-ით (250.0 ათ. ლარით) იზრდება.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 315.6 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 315.6 ათასი ლარი;

2024 წელს მიზნობრივი ტრანსფერი შემცირდა 134.4 ათ. ლარით.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 869.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ რენტა 634.9 ათასი ლარი;
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 570,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 250,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 300,0 ათასი ლარი;

- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 20,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2370,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

  შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული *სამართალდარღვევების გამო 2 370.0 ათასი ლარი;*

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (2 012.6 ათ.ლარი) შედარებით შემოსავალი სანქციებიდან 17,75 %-ით (357.4 ათ. ლარით) იზრდება, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომობილების ნაკადის ზრდით ძირითადად ტურისტულ სეზონზე.

- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500.0 ათ. ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 37 750.0 ათას ლარს (2023 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან (34 480,0 ათ,ლარი) შედარებით იზრდება 3 270.0 ათ. ლარით), რაც პროცენტულად შეადგენს 9.4 %-ს.

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. რაც შესაბამისად აისახება ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ზრდაზე დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 315.0 ათასი ლარი;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 4 173.0 ათასი ლარი;**
- **განათლება - 8 546.0 ათასი ლარი;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 6 790.0 ათასი ლარი მათ შორის:**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 843.0 ათასი ლარი;**
- **ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა -320,0 ათასი ლარი;**
- **მმართველობა 8 771.4 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1 960.0 ათასი. ლარი;
  - ✓ მერია - 5 412.0 ათასი ლარი;

- ✓ მუნიციპალური ინსპექცია - 800.0 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 350.0 ათასი ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა - 29.4 ათასი.ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 210,0 ათ.ლარი, მათ შორის ძირი 114,9 ათასი. ლარი და პროცენტი - 95,1 ათასი. ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2024 წლის პროექტი
1	2	3
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**8 771,4**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	8 172,0
01 01 01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (010101)	1 960,0
01 01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია (020102)	5 412,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური (020103)	
01 01 03	მუნიციპალური ინსპექცია (020104)	800,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	599,4
01 02 01	სარეზერვო ფონდი (010201)	350,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა (010202)	29,4
01 02 03	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა (010203)	210,0
01 02 04	სასამართლო გადაწყვეტილებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები (010204)	
01 02 05	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	10,0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**6 315,0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 530,0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა (020101)	300,0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (020102)	750,0
02 01 03	საგზაო მოძრაობის ორგანიზება (020103)	380,0
02 01 04	საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (020104)	100,0

02 01 05	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი (020105)	
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 140,0
02 02 01	წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 01)	100,0
02 02 02	წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია (02 02 02)	990,0
02 02 03	კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 03)	50,0
02 03	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	300,0
02 03 01	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (020301)	150,0
02 03 02	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (020302)	100,0
02 03 03	კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა (020403)	50,0
02 04	პროექტირება და ექსპერტიზა	900,0
02 04 01	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (020401)	500,0
02 04 02	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა (020402)	400,0
02 05	სამოქალაქო ბიუჯეტი	300,0
02 06	ბინათმშენებლობა	200,0
02 06 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა (020601)	100,0
02 06 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა (020602)	100,0
02 07	გარე განათება და ელმომარაგება	1 755,0
02 07 01	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია (020701)	80,0
02 07 02	გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი (020702)	1 295,0
02 07 03	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (020703)	380,0
02 08	სატრანსპორტო კომპანია	190,0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	
02 10	სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**4 173,0**
03 01	მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება	3 582,0
03 01 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები (030101)	748,0
03 01 02	ნარჩენების გატანა (030102)	1 182,0
03 01 03	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა (030103)	1 652,0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება	222,0
03 02 01	სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა (030201)	187,0
03 02 02	მრავალწლიანი ნარგავების შეძენა (030202)	35,0

03 03	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	369,0
03 03 01	ჩამდინარე წყლების მართვა (030301)	154,0
03 03 02	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა (030302)	100,0
03 03 03	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (030303)	115,0
04 00	**განათლება**	**8 546,0**
04 01	სკოლამდელი განათლება	8 250,0
04 01 01	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101)	8 250,0
04 01 02	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება (040102)	
04 01 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგთა დაჯილდოება (040103)	
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	226,0
04 02 01	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები (040201)	50,0
04 02 02	100%-იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეების წახალისება (040202)	160,0
04 02 03	საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა (040203)	16,0
04 03	არაფორმალური განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	70,0
04 03 01	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (040301)	55,0
04 03 02	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (040302)	15,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია**	**6 790,0**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 710,0
05 01 01	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (05 01 01)	70,0
05 01 02	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)	1 740,0
05 01 03	სპორტული კლუბების ხელშეწყობა (05 01 03)	**900,0**
05 01 03 01	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	450,0
05 01 03 02	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	450,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3 780,0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	312,0
05 02 02	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	100,0
05 02 03	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	**3 368,0**
05 02 04 01	დაბა ურეკის კულტურის სახლი	234,0
05 02 04 02	ცენტრალური ბიბლიოთეკა	268,0

05 02 04 03	თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	195,0
05 02 04 04	სახვითი ხელოვნების ცენტრი	173,0
05 02 04 05	სახელმწიფო ანსამბლი გურია	350,0
05 02 04 06	სამხატვრო სკოლა	120,0
05 02 04 07	მუსიკალური სკოლა	222,0
05 02 04 08	სამუზეუმო გაერთიანება	316,0
05 02 04 09	მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	1 375,0
05 02 04 10	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	115,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამები	200,0
05 03 01	„შემოქმედებითი ოზურგეთი“	150,0
05 03 02	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	50,0
05 03 03	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	
05 04	რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა	100,0
05 04 01	რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა	80,0
05 04 02	ეკლესია მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	20,0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2 834,6**
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1 317,0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	245,0
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	350,0
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	70,0
06 01 04	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	360,0
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	240,0
06 01 06	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	52,0
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	1 517,6
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	16,0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	51,0
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	20,0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	372,0
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (060205)	59,6
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	50,0

06 02 07	ოფიციალური დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (060207)	70,0
06 02 08	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	400,0
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	250,0
06 02 10	სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (060210)	29,0
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	40,0
06 02 12	გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	140,0
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება	20,0
07 00	**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა**	**320,0**
07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	320,0
07 01 01	მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა (070101)	20,0
07 01 02	ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (მონაცემთა ბაზის შექმნა) (070102)	180,0
07 01 03	მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (070103)	80,0
07 01 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (070104)	
07 01 05	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (070105)	40,0
		37 750,0

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 8 771.4 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 3 540.0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 4 173.0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3095,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 317.0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 6 790,0 ათ.ლარი;*
- *განათლება - 8 546,0 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1 518.0 ათასი ლარი;*

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. ინფორმაცია 2023 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი